კლდე

№ 13

12 აპრილი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მეოთხე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

6 256

ავსტრიელი ჯარისკაცები თხილამურებით.

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. ომი და ჩვენი მატიანე.—**შამქორისა** 2. ოსეთის სელოვნური ჩამოშორება.—**ქართლელისა.** 3. „განათლების“ სკოლის განახლების გამო.—**სანდროშვილისა.** 4. ძეგლზედ წასაწერი ლექსი.—**მელანიასი.** 5. უზრუნველ ქართველის დღიურიდან.—**გ. ახ—ელისა.** 6. სხვა და სხვა ამბები. 7. გერმანიაში.—**X-სა.** 8. ქ-ნი ქიქოძე მედეას როლში.—**დიოგენისა.** 9. წერილი რედაქციის მიმართ.

ომი და ჩვენი მატიანე

VII

აჭარელების საქმე მოტრიალდა. 1 აპრილიდან ბათუმის გენერალ-გუბერნატორის განცხადებით ნება ეძლევათ გახიზნულნი დაუბრუნდნენ კერას და დაიწყონ მუშაობა. გაცივებულ კერის, გაოხრებულ და განიავებულ სარჩოს, დანგრეულ სახლ-კარის და შეწყვეტილ მეურნეობის აღდგენა. ფეხზე დაყენება ადვილი არ არის. ჩვენც ნება დაგვრთეს ,ელი გაუწოდოთ უბედურობაში მყოფ მოძმეთ და მოვალენიც ვართ, რითაც კი შეგვეძლება, შეუმსუბუქოთ ტანჯვა. მაგრამ აჭარის საკითხი დღეს სხვა მხრივ გვაინტერესებს.

ქართველმა საზოგადოებამ კიდეც რომ შესძლოს ისე მთლიანად აუნაზღაუროს დარბეულთ გაწყალებული ქონება, რაიმე მისტიური ძალის წყალობით დაუამოს და დაუცხროს აუტანელი წყლული და იარა აჭარის ამბავი მაინც ისტორიულ ფაქტათ დარჩება, ბევრს რამეს ეტყვის ჩვენის ცხოვრების მომავალს ისტორიკოს, გასსაკუთრებით ჩვენ ეროვნულ შეგნების, ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის დასახასიათებლათ. ჩვენ ვფიქრობთ აჭარის საკითხი მეტად საინტერესო დოსაქრობას უწევს ჩვენს საზოგადოებრივ პოლიტიკურს აზრს, და დარწმუნებული ვართ, რომ მის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება ქართველ ხალხის ეროვნულ შეგნების და პოლიტიკურ აღზრდის საქმეში როგორც დღეს, ისე სამერმისოთ.

ყველამ უწყის, რომ არავითარი სფერო კაცობრიობის თეორეტიულ მოქმედებისა არ არის ცხოვრების სინამდვილესთან ისე მჭიდროდ დაკავშირებული, როგორც პოლიტიკური მისწრაფება, პოლიტიკური აზრი ადამიანისა. მისი კულტურული შეგნება, მისი იმედი და უიმედობა საკუთარი ძალისა, უკმაყოფილება აწმყოთი და მისწრაფება უკეთეს მომავალისაკენ, იმედიანობა, ცხოვრებაში რაიმე აზრის და სხვა—ყველაფერი ეს თავის საუკეთესო გამომთქმელს პოლიტიკურ აზრში, პოლიტიკურ პროგრამაში ჰპოვებს ხოლმე. და, თუ ამ მხრივ შევხედავთ აჭარის საქმეს, მტრის საქციელს და ჩვენ საკუთარს დამოკიდებულებას მისდამი, მეტად მწარე ტკივილებს და მძიმე ქენჯნას განგვაცდეინებს იგი, განგვაცდეინებს, რადგან იგი ნამდვილი სარკეა, სადაც საკუთარს უსუსურობს, პოლიტიკურად ფეხ-აუდგომლობას დავინახავთ. ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ბოდიშის მოხდა ან გაჭარწლება გვინდოდეს იმ სამართლიან საყვედურისა, რომელთაც მოგვამართეს პატივცემულმა აჭარელმა მოღვაწეებმა. პირიქით, ჩვენ სავსებით ვიღებთ ამ საყვედურს და ჩვენის მხრივ გვინდა მიუთითოთ ჩვენ საზოგადოების არამც თუ მარტო ისეთ ფაქტზე, რომელიც ახასიათებს ჩვენ დანაშაულობას აჭარელების წინაშე, არამედ—ისედზედაც, რომელიც ჩვენი საზოგადო ცხოვრების მშვენიერი დამხასიათებელია. აჭარის საქმე მარტო ჩვენი დანაშაულობის მოძმეთა წინაშე მთქმელი კი არ არის, არამედ იგი საუკეთესო მოწმეა იმისა, რომ არავითარი პოლიტიკური აზრი არ გვაბადია, არავითარი პოლიტიკური პერსპექტივა არ გვაქვს. თითქოს ჩვენ ცხოვრებას იქამდის არ მიეხწიოს, რომ მას ერთნაირი ეროვნული პოლიტიკური აქტივი ჰქონებოდეს, გავლებული და ნათლად წარმოდგენილი ჰქონოდეს ხაზი, რომელზედაც უნდა იაროს ეროვნულ ზრახვათა და მისწრაფებათა განხორციელების საქმემ. არ არის ეროვნული პროგრამა, რომელიც მოყვასს სულს ჩაუდგავს და მტერს ანგარიშს გააწევინებს. და, აი სწორედ ამ ეროვნულ აქტივის უქონლობამ დაჰბადა ის, რომ ყველამ რა ნახა სოფელი, უძაღლო შ გ უჯოხოთ მოინდომა გავლა, ეს აზრი, ნება მომეცით, ყველასათვის ცნობილი ფაქტებით განვმარტო; ყველას ახსომს, რომ ლაპარაკი აჭარელთა ღალატის შესახებ, რასაც ასეთი ამბავი მოჰყვა, კერძო მითქმა-მოთქმის სახით დაიწყო, თითქოს კილოს კითხვა უნდოდათ ჩვენთვის სად ვიყა-

ვით მაშინ? რატომ არ წავდექით და პასუხი არ მოვითხოვეთ ერთხმად, როგორც ერთგულმა ერმა, რომლის ერთს საუკეთესო ნაწილს ასეთი სახიფათო ბრალი ედებოდა? შემდეგ, როდესაც სხვამ ხმა ამოიღო, როდესაც უდანაშაულო მსხვერპლმა და უსამართლობამ თვითონ ააღაპარაკა ყველანი და ჩვენ თითქმის გვიკარნახეს, რომ შეგვეძლო ხელის გაწოდება — ჩვენ რაღაცა გაუბედავობას, შიშიანობას ვიჩენდით და ვიჩენთ.

თუ ერის ნაწილის შელახვამ თავის გამოდება ვერ გამოიწვია ჩვენში—აშკარაა თუ რა ფისის ეროვნული შეგნება გვქონია და ისიც ნათელია რად აგვიგდეს ასე აბუჩათ! აი, ასეთის სახით დაგვანახა ჩვენი ეროვნული შეგნება აჭარის საქმემ და იგი დღეს ისედ ყოფაშია, რომ მას კიდევ შეუძლიან, თუ გვაბადია კიდევ უნარი სიცოცხლისა, აამოძრავოს ეროვნული ძალა, გააღვივოს ეროვნული შეგნება. საჭიროა მეტად დაფიქრებით და გონიერათ მოვიხმაროთ მოცემული უფლება—ერი დავრაზმოთ ნაწილის ტანჯვის შესამსუბუქებლად. საჭიროა რომ დახმარების განხორციელებაში მთელს ერს მივაღებინოთ მონაწილეობა და და ყველა კუთხე ჩვენი ქვეყნისა თანამოზიარე გავხადოთ ეროვნულ სხეულის საუკეთესო ნაწილის უბედურებისა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ საქმეს სერიოზული და სასურველი სახე მივცეთ, თორემ თუ საქმე—ინტელგენტთა ,,გულის შეტკივნით'' გათავთა, კვლავ გავიმეორებთ იმ ეროვნულ უბედურებას, რომელიც თან სდევს ჩვენს ნასწავლ კლასის ისტორიას. ეს უბედურება ის გახლავთ, რომ ყველა საზოგადოებრივმა იდეალებმა პოლიტიკურმა იმედებმა და ზრახვანმა, რომელთაც კი ადგილი ჰქონდათ ამ ასი წლის განმავლობაში ჩვენ ცხოვრებაში გაიელვეს საქართველოს პოლიტიკურ ცაზე რაღაცა შემთხვევით და უცხო მნათობებად, რომელთა ცქერით ხოლოდ ინტელიგენცია იკლავდა ოცნების ჟინს, ხალხის გულისათვის კი შეუმჩნეველი რჩებოდნენ. პოლიტიკური იდეალები—ინტლიგენციის გემოვნების ნაყოფი იყო და ინტლიგენციას არ გასცილებიან თავის გავლენის გავრცელებით, ხალხი თითქმის სულ მუდამ გარეშე რჩებოდა და მით თვით იდეალებსაც უშინაარსობა, უცოცხლობა ეტყობოდათ. როგორცა და სადაც სჩნდებოდნენ, იქავე ჰქრებოდნენ. ინტელიგენცია გენერლობდა, შტაბი პროექტებს სწერდა, აღმასრულებელნი, ჯარის-კაცთ კი მათი არაფერი არ ესმოდათ. არა ყოფილა ცდა გამოენახათ ისეთი კონკრეტული ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო ერთობა ხალხისა და ინტლიგენციისა, ეროვნული იდეალის აშენება. დაზარალებულ მოძმეთა დახმარება, ჩვენის ღრმა რწმენით, მეტად სამადლო ნიადაგს შეადგენს ამ შეგნებისთვის და სწორედ ასედაც უნდა გამოვიყენოთ იგი,

ისტორიული თვისებანი და ხასიათი ჩვენის ხალხისა საუკეთესო თავდებია ამისა! და სწორედ ამ ხალხის თვისებებზედ უნდა აშენდეს ეროვნული შეგნების იდეია, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ძნელად მოიპოვება მეორე ისეთი ხალხი, როგორც ქართველობა, რომელსაც იმდენი საზოგადოებრივ გრძნობით და ინსტიქტით სავსე ჩვეულებანი და ჩვეულებით დალოცვილი დაწესებულებანი მოეპოვებოდეს, რამდენიც ქართველებს.

რიგრიგა, მამითადი, შესაწევარი, ოჩხარი, დიდება და სხვა ყველაფერი ეს, ფუძე თვისებანი ქართველნი ხალხისა, ისედს სიმპატიურს და ძვირფას ელემენტს წარმოადგენენ ეროვნულ შეგნებისათვის, რომ სწორედ ამ თვისებებს უნდა მივმართოთ, და დღეს ხომ სწორედ ეს თვისებები, მეზობლის გაკითხვა, არის საჭირო! უნდა მივმართოთ ხალხს და მოვითხოვოთ მისი თანაგრძნობა აჭარელებისადმი ისე, როგორც თხოულობს ამას მეზობელი მეზობლისაგან და ხალხიც მოვალეთ ჩასთვლის თავის თავს, რადგან ამ მოვალეობის შეგნება მას ისტორიულად აქვს შესისხლ-ხორცებული. ასეთი თანაგრძნობა აჭარელებისადმი, რაშიაც უნდა გამოიხატოს იგი — ერთი ჯამი ფქვილი, ერთი გროში ფული, მუჭა ლობიო თუ მარტო კეთილი სიტყვა იქნება — დიდს ნაყოფს მოიტანას. გარდა ნივთიერ დახმარებასა იგი მეტად სიმპატიურ შეგნებას დაამტკიცებს, ეროვნული იდეა გასცილდება ვიწრო წრეს ,,განათლებულებისას'' და ხალხის მონაწილეობით ცხოველ-მყოფელი და ძლიერი შეიქმნება! ეს იქმნება პირველი, მაგრამ გაბედული და საღი ნაბიჯი, რომელიც მისცემს ქართველ ხალხს პოლიტიკურ პერსპექტივას, პერსპექტივას აღმოცენებულს ისტორიულ სამშობლო ნიადაგზე და ასე საჭიროს დღეს, როდესაც არ არის ხალხი დედამიწის ზურგზე, რომ ეროვნულ ოცნებადა და ზრახვათა განხორციელების სურვილის მორევში არა სცურავდეს! განსაკუთრებით ჩვენს გარშემო ისე ძლიერია ასეთი სურვილები, რომ შთანთქვას გვიქადის და ამისათვის არის საჭირო სწორედ მოწინააღმდეგე აქტივის ქონება. თუ სხვას არავითარი საბუთი, გარდა კიცი-ჭამიაობისა არა აქვთ და რაღასაც კი

ანხორციელებენ, რატომ ჩვენ არ უნდა წარმოვთქვათ ის, რაც შეადგენდეს ისტორიულს სიმართლით სავსე ანდერძს და ისეთ პირობებს, ურომლისოთაც ქართველი ხალხის მომავალი ძნელი საფიქრებელია.

ტრაგიზმი ჩვენი ისტორიისა გახლდათ ის, რომ გასავალი სახემლწიფოს ზრდისათვის არ გვქონდა. შავი ზღვა უფრო კულტურულსან ხალხს ეკავა ხელში თავის ახალ შენებით, კასპიის ზღვით და ჩვენი ქვეყნის შუა კი უდაბნო, ხრიოკი ადგილნი, არამც თუ არ იზიდავენ ქართველის გულს, არამედ შეუჩერებლივ უგზანიდა სხვა და სხვა ურდოებს, რომლის წინაშე ქართველებს მხოლოდ მოგერებითი მოქმედება უნდა ეწარმოებინათ. ასე იყო კარ-ჩაკეტილი ქართველობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ოდესმე შერიგებოდეს ფატალურ აუცილებლობას აჩრს და იმედი დაჰკარგოდეს ბორკილის დარღვევისა, სახელმწიფოს ბუნებ-ივ ზრდისათვის ადგილის მონახვისა. განა ამის საუკეთესო მთქმელნი დიდებული შოთას უკვდავი გმირები არ არიან თავის უსაზღვროთ მოხეტიალე სულით, მსოფლიო ძებნით? თითქოს ერის დიდი ხნით შეხუთულ სულს და გენიას გადაერღვიოს ბუნებრივ საზღვარი და ღსნა ეპოვოს! აი აზრი ჩვენი ისტორიისა! აჭარის უბედურება გასაღები უნდა შეიქმნას ეროვნულ შეგნებისა, უნდა იქცეს საღსრად ისტორიულ მისი ის ერის სულად ქცევისა. აჭარას მოსდევს ლაზისტანი—აკვანი, სამჭედლის ჩვენის წარსულისა. და თუ დღეს სხვები ეპოტინებიან ლაზისტანს და თავის სურვილებს გარდა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ სიყალბისა, ალბად, იქ მცხოვრებთა ფიზიკურ ამოჟლეტაზედაც ამყარებენ რადგან მასსა, რომელიც უნდა შესცვალონ კულტურულად და ეკონომიურად უფრო მაღლა სდგას მასსაზე, რომელიც უნდა ჩაასახლონ, რატომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს ეს პოლიტიკური მისწრაფება, თუ მას ამართლებს ისტორიული წარსული და დღევანდელი საჭიროებანი ქართველი ერისა. აი ასეთის სახით შედის ჩვენ მატიანეში აჭარის უბედურობა!

შამქორი.

ოსეთის ხელოვნური ჩამოშორება

(ზ. ჭიჭინაძის წიგნის გამო) *)

რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, პოლიტიკურ მმართველთა მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ ხელოვნურად ჩამოეშორებინათ ჩვენი შემადგენელი პროვინციები, თუნდა ქართველთა ისეთი შტოები, როგორიც არის სამეგრელო, აჭარა და სხვა. „Divide et impera"—აი მთელი პოლიტიკის სარჩული.

თუ ეს ასე იყო ჩვენს ბუნებრივ შტოებზე, თუ ასე უდიერად მოგვეპყრნენ ჩვენს საკუთარ სისხლ-ხორცთა შესახებ, რა იქნებოდა უცხო, მეზობელ ერთა თავს, სადაც საქართველოს კულტურა მეფობრივ გავლენას ახდენდა, ეს ადვილი წარმოსადგენია. ოსეთი, მაგალითად, ისტორიულად არამც თუ მოსაზღვრე, თითქმის ჩვენს ერთგვარ შემადგენელ ნაწილს შეადგენდა. ჩვენს წინაპართ უხსოვარ დროიდან ჰქონიათ ეჭიდრო დამოკიდებულება. ქრისტიანობის შეტანა რომ არ ვიანგარიშოთ, საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი ისტორიის პერიპეტიები, დიდი მეფენი საქართველოსი. როგორც ვახტანგი, ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, დიდი თამარი და ბრავალი სხვანი, რომელნიც არამც თუ მტრულად, პირიქით, მოყვრობით სცდილობდნენ ოსეთი საქართველოს ვასალად გაეხადნათ. ასეა თუ ისე, ჩვენ და ოსები უძველეს დროიდან კეთილ ეეზობლობდით. ჩვენი კულტურა მათზე ისე ძლიერი იყო, რომ დღესაც მრავლად ნახავთ მთებში ეკლესიებს ქართული წარწერებით. წირვა-ლოცვა, ძველად მიწერ-მოწერა სულ ქართულ ენაზე თუ არა, ქართული ანბანით მაინც ჰხდებოდა. ეს გავლენა ისე ძლიერი იყო, რომ თვით მეჩვიდმნტე საუკუნეშიაც კი, როდესაც ოსეთის ერთ ნაწილში ისლამის სარწმუნოებამ მოიკიდა ფეხი, ვერ შესცვალა ჩვენი დამოკიდებულება, ვერც ერთს ისტორიულ ნაშთს ვერ იპოვნით სპარსული ან არაბული წარწერით.

მაგრამ აი, დაჰკრა დრომ, მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება. ამ მომენტიდან იწყობა

*) იხ. ზ. ჭიჭინაძის „ოსეთი ქართული წინგებით".

რუს პოლიტიკოსთა მიერ საქართველოს კულტურის გაქელვა, იკარგება მრავალი ისტორიული ნივთი, უპატიოთ ეპყრობიან ჩვენს ხელ-ნაწერებს, სიტყვით თუ საქმით ჰსურთ ერის შეურაცხყოფა, რათა აჩვენონ, რომ საქართველოს არა ჰქონია რა წარსულშიო. ოსებთან გაცნობამ ჩვენი კულტურის შესახებ მათ ბევრი რამ ეთხრა, მაგრამ ვის რად ეპრიანებოდა საქართველო! არა, მისი ავტორიტეტი ყოველ-გან უნდა დაეცათ და გაექარწყლებინათ. და აი, ოსეთსაც, მეორმოცე წლებიდან ჩასჩიჩინებდნენ, რომ ისინი „არა ისტორიული“ ერი არიან, მათი წარსული ველურ ხალხის წარსულია, ხოლო ან-ბანი რომელიღაც ღმერთ გამწყრალ „თხას შეუჭამია“. მუდმივმა პროპაგანდამ, მართლაც, შეცდომაში შეიყვანა ოსობა. მათ დაიჯერეს, უარჰყვეს მამაპაპეული ამაგი, შეუდგნენ საღვთო წიგნების მოსპობას, თუმცა, საბედნიეროდ, აქა-იქ ისტორიულ ნაშთად კიდევ მოიპოვება „ლოცვანი“ და „ლიტურღია“,—(რამდენიმე ეგზემპლიარი მინახავს დ. ცხინვალში, ს. ქემერტში და ვიცი კიდეც, ს. დ ვისთან რა ინახება). რაკიღა მოსპეს ჩვენი ან-ბანი, მთავრობა იძულებული შეიქნა სამაგიერო მიეცა. და ეს მაგიერი მის ნაცვლად რომ ორიგინალი ყოფილიყო, ისევ დატკეპნილ გზაში დაინახეს, აიღეს, არც აცივეს, არც აცხელეს და სლავიანურ-ლათინურით შეხანხლეს ახალი ვითომ და „ოსური“ ან-ბანი, თუმცა იძულებული გახდნენ ჩვენგან რამდენიმე ასო ესესხნათ ან-ბანის შესავსებათ.

რომ ახალ ნამყენს მაგრად გაედგა ფესვი, ოსეთში მრავლად მოჰფინეს სამრევლო სკოლები. ქართული ამოიფხვრა. მაგივრად რუსული შემოვიდა, ბევრგან მუნჯური მეთოდითაც კი. პროპორციანულად თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ ოსებში მეტი სკოლები დაიხსნა, ვიდრე ქართლში. მთავრობამ საგანგებო ნივთიერი დახმარებაც კი აღმოუჩინა სწავლა-განათლების მიღებაში. ამითი აიხსნება, რომ მაგალითად, ჯავისხეობამ უფრო მეტი სტუდენტობა გამოზარდა, ვიდრე მთელი გორის მაზრის ქართულ—სოფლებმა. მაგრამ საკითხი ისევ საკითხად დარჩა: რა ნაყოფი მოაქვს ასეთს ნაძალადევ „განათლებას?“ პრაქტიკულად თუ შეეხედავთ, დავინახავთ, რომ ძალიან ნაკლები. მოსწავლეთა მეტი ნიწილი არაბუნებრივ ნიადაგზეა, ასეთი „სამშობლო“ ან-ბანით ისინი უფრო ჩამოშორდნენ სამშობლო ნიადაგს. ბავშვი წერილობით ვერას გააგებინებს მშობლებს და პირიქით, მშობლები—ბავშვს. ახალთაობას კიდევ ასე ჰგონია, ვითომც ოსეთის ისტორია მართლა ამ შავბედითი პოლიტიკის გამეფებიდან იწყება, სახელდობრ 1840 წლიდან, როცა ქართულ კულტურის ვითიშვა დაიწყეს და ოსეთიც არა ისტორიულ ერად გამოაცხადეს, როგორც უკულტურო ერი, უცნობი რუსის ნაშთი. გვირგვინი ამ პოლიტიკისა როგორც ოსეთის ეროვნული შეურაცხყოფა იყო, ისე ჩვენი ჩამოშორებაც...

მაგრამ ვიდრე ამის სიმპტომებს სავსებით აღვნიშნავდე, ვიდრე საწინასწარმეტყველო ხაზებს ჩამოვუსვამდე, მე მსურდა მიმეთითებინა ქართველ მკითხველთათვის საზოგადოდ და ოსებისთვის კერძოდ, ყურადღება მიექციათ. ზ. ჭაჭინაძის ახალ გამოცემისთვის „ოსეთი ქართული წიგნებით“. მართალია, მეცნიერული თვალსაზრისით იგი მხოლოდ მასალათა და ისიც **ნედლ მასალათა ხსოვის მეტს** არას წარმოადგენს, მაგრამ ღირებულება ამ წიგნისა სწორედ ამ „სინედლეში“ უნდა ვეძიოთ. დაკვირვებული მკითხველი ამ მასალის მიხედვითაც კარგად დაინახავს თუ რანი ვიყავით გუშინ ჩვენ და რა მეზობლობა გვქონია ოსებთან. ეს მასალავე დაგვანახვებს არსებულ პოლიტიკის სიმახვილეს, რაც ორპირადა სჭრის და ორივე მხარეს, ქართველებსა და ოსებს, ერთგვარ ჭრილობას გვაყენებს. ოსების მიერ იძულებით ამ გზის არჩევა ხელოვნურად დაგვაშორებს ერთ ურთისაგან, თქმა არ უნდა, ჩვენი და მათი ეომავლის არა საკეთილდღეოდ...

ქართველი.

„განათლების“ სკოლის განახლების გამო

ჩვენ წერილებში, რომლებიც უძღვენით საშუალო სწავლა-აღზრდას ჩვენში, ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, თუ რა მავნებელი შედეგები ჰქონდა ერისათვის მიღებულს და გამეფებულს საშუალო სწავლა-აღზრდის სისტემას. ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მხოლოდ სავაჟო გიმნაზიებზე. იგივე ითქმის ქალთა საშუალო აღზრდაზედაც: იმავე გვარის, იმავე აზრით დაარსებული სასწავლებლები, უფრო მავნე შედეგებით ჩვენთვის. გიმნაზიები არამც თუ ხელიდან გვაცლიან, გამოუსადეგარ პასიურ ელემენტად ზრდიან ჩვენ ქალებს, არამედ მათ ისეთ კულტურულ და გონებრივ დონეზე და გუნებაზე

აყენებენ, რომ საფრთხე ხდებიან ჩვენი ეროვნულ ცხოვრებისათვის. თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ ოჯახი ერის საფუძველია, და ოჯახის ბურჯად კი ქალი — დედა ითვლება, მეტადრე დღეს, როდესაც მამა კაცი სრულიად გართულია არსებობისათვის ბრძოლაში და მთელი აღმზრდელობა ქალს აწვება თავზე, მაშინ აშკარა იქნება რა დიდი კვალი სიმახინჯისა უნდა დასტოვოს ეროვნულ ცხოვრებაზედ ასეთმა აღმზრდელმა. იშვიათად შევხვედრივართ კერძოთ, და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ხომ არც კი იცნობს ისეთ სწავლა მიღებულ ქალს, რომელსაც ეროვნული მოვალეობა ოდნავა ჰქონდეს წარმოდგენილი და თავის მოქმედებას იმას უქვემდებარებდეს. თუ შეხვდებით ბედნიერ გამონაკლისთ ამ საერთო მოვლენიდან და ჩაუკვირდებით საქმეს, უეჭველად ერთ დასკვნამდე მიხვალთ: ოჯახი ყოფილა საღი ეროვნულად, გამათახსირებელს სასწავლებელს ვერ დაუძლევია ოჯახის გავლენა და თუ შერჩენია ქალს ეროვნული მოვალეობის შეგნება — მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წყალობით

ამიტომ არის, რომ გამრავლდა „კარტველი კალობა“, მნიშვნელობა და ძველი პატივისცემა დაჰკარგა ჩვენში, სრულიად გაინთხა, უფერული გახდა და მხოლოდ ამ ბოლო დროს ხმა ამოიღო მისმა მცირე ნაწილმა და საჭიროდ სცნო ქართველ ქალთა საზოგადოება დაეარსებინა. ის ვინც გაზდილა გიმნაზია-პანსიონებში და გიმნაზიის გავლენას სრულიად დაუძლევია ოჯახის გავლენა — ჩვენი ხელიდან სამუდამოდ არის წასული, არავითარი სარგებლობა ეროვნულ საქმეს მათგან არ ექნება. იქნება პარიზის, ან რუსეთის რომელიმე დედა ქალაქში, თეატრის სცენაზე ფეხს ლამაზად სწევენ, მსახიობობენ, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას ამით არაფერი არ ემატება და ჩვენ კი მხოლოდ ეროვნული სარგებლობის თვალით უცქერით სკოლას.

უეჭველია დაწყებული მოძრაობა სკოლის საქმეში მარტო სავაჟო სასწავლებლების რეფორმებს არ იკმარებს და ქალთა აღზრდასაც სასურველ გზისაკენ მიჰხრის. სიმპტომები ასეთი მოვლენისა უკვე არის. ჩვენის საზოგადოებისათვის ცნობილ „განათლების“ სკოლის ხელმძღვანელთ სწორედ ეს აზრი ახელმძღვანელებს. როგორც ვიცით მათ განუზრახავთ დღევანდელი სკოლა სემინარიათ შესცვალონ და მკათათვის კანონის ძალით სწავლა ქართულ ენაზე შემოიღონ. მეტად სიმპატიური აზრი საღ პედაგოგიურ დებულებაზედ, საშშობლო აღზრდაზე, დამყარებული სრული თავდებია იმისა, რომ საქმემ დიდი ყურადღება უნდა დაიმსახუროს და შესაფერი გავლენა მოიპოვოს ჩვენს საზოგადოებაში. სახალხო სკოლების მასწავლებელთა აღზრდა — რასაც ისახავს აზრად სემინარია - ეს მეტად დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენთვის. რამდენი ხანია არსებობს ჩვენში სახალხო სასწავლებლები და მათი ნაყოფი ყველამ უწყის, ჩვენ არ მოვეპოვება „მწიგნობარი“ ხალხში, აღზრდილი ამ სასწავლებლებში, არ მოგვეპოვება იმიტომ რომ სხვა აზრით იგზანება და სხვა მომზადებით მიდის იქ მასწავლებელი.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხალხში ცოდნის შეტანა, ხალხურ მწიგნობრობის გამრავლება — არის ფუძე ეროვნულ კულტურულ ცხოვრებისა, მაშინ აშკარაა თუ რა ცხოველმყოფელს და წმინდა აზრს ისახავენ „განათლების“ სკოლის ხელმძღვანელნი. საქმე მეტად სიმპატიური და დიდია და დანაშაული იქნება, რომ საზოგადოებამ შესაფერი თანაგრძნობა და დახმარება არ გაუწიოს. უპირველესად მეტად სასურველია სასწავლებელში მოსწავლეთა ის შემადგენელობა დარჩეს, რომელიც დღეს არის, მაშასადამე სწავლის ფულის მომატებაზე ფიქრი შეუძლებელია; სასწავლებლის გარდაქმნა კი დიდს ხარჯს გამოიწვევს და აი აქ სწორედ საზოგადოებამ უნდა მოიხადოს თავისი ვალი. დროა, შევიგნოთ ჩვენი სარგებლობა და ჩვენი დანახარჯი სწავლა-აღზრდის საქმეში მართლა იქით მივმართოთ, საიდანაც სარგებლობას, ცხოვრების გაუმჯობესებას ველით. ამიტომ გონიერება მოითხოვს, რომ ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა ათასობითი სუბსიდიიდან მცირე ნაწილი ამ ფრიად სიმპატიურ საქმისათვის მივმართოთ! გვეყო ამდენი ბალერინ-მოხელეთა ზრდა, დროა, დრო საქმესაც მივხედოთ!

სანდროშვილი.

ძეგლზედ წასაწერი „ლექსი“

(ბატარა ამბავი) *)

V

თავის სიცოცხლეში ერთად ერთხელ ჩავარდა განსვენებული ნივთიერსა და უფრო კი ზნეობრივ გაჭირვებაში. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა ქალაქ თბილისში „ახალი“ კლუბის გახსნას აპირობდნენ.

განსვენებული ხშირად შესჩივოდა ხოლმე თავის ერთგულ ნინიას: „ჩვენ, ქართველები, არ ვარგივართ, ყველა ხალხს უკან ჩამოვრჩით; ჩვენი უნარი ვერსად გამოგვიჩენიაო. აგე, შეჰხედე, ჩვენი მეზობელი სომხები რასა შვრებიან! იმათ უყვართ ფულები და აქვთ უნარი ფულების მოგებისა და რომ გამოიჩინოს ეს უნარი, აარსებენ ბანკებს, სავაჭრო სახლებს და იგებენ აუარებელ ფულებს. ჩვენ, ქართველებს, კი შნო არაფრისა გვაქვს; ჩვენი ბუნების წინააღმდეგ მივდივართ და ვმოქმედობთ. ჩვენი ბუნების თვისებანი და უნარი ქეიფისა და ფულების დაუზოგველად ხარჯვაა და აქამდის გონს ვერ მოვედით, რომ ჩვენც სომხებსავით დაგვეარსებინა ისეთი რამ დაწესებულება, საცა შეძლება გქონოდა გულუხვად გეხარჯნა ფულები და ამასთანავე შენი განის კაცს დაენახა, თუ როგორ ატარებ დროს და როგორ დაუზოგველად ხარჯავ ფულებს. ძლივს ეხლა გამოჩენილა ვიღაცა ჭკვიანი და მადლიანი კაცი ჩვენშიაც და მოუგონია „ახალი“ კლუბის დაარსება, საცა შეგვეძლება ჩვენ ქართველებსაც საქვეყნოდ გამოვფინოთ ჩვენი თვისებანი და უნარი ფულების ხარჯვისა და დროს გატარებისა“.

— ის ჰაერში ფრენა რომ მოუგონიათ — ისიც კი კაი მოგონებაა, გააწყვეტინა ნინიამ.

— ეჰ, ეგ რა მოგონება არის! მოგონება ის იქნება კარგი, რომ ისეთი ვინმე გამოვიდეს და მოიგონოს ის, რომ ჯიბეში ფული არ გამოგელიოს, რაც უნდა ბევრი ამოიღო ჯიბიდგან და ჰხარჯო, აი მოგონებას ამას ვეტყვი! აი ეს მოგონება იქნება კარგი და ძვირფასი, თორემ დღეს რომ ასი თუმანი გედოს ჯიბეში, ხვალ ასი კაპეიკი აღარა გაქვს!

— ეგეც ხომ კარგი მოგონება იქნებოდა.

— როგორ თუ კარგი მოგონება! მომგონებელს ყველა სულში ჩაისვამდა! აი თუნდ ის, ვინც „ახალი“ კლუბი მოიგონა, სულში ჩასასმელი არ არის? დამაცადე ერთი გავიცნო და გავუზიარო ჩემი აზრი. იქნება ისიც მოიგონოს იმან, რომ ჯიბეში ფულები არასოდეს არ გელეოდეს, რაც უნდა ბევრი ჰხარჯო, მაშინ ჩვენ, ქართველებს, მთელს დედამიწის ზურგზედ ხალხი აღარ შეგვედრებოდა; იცი, მაშინ რა სახელს გავუთქვამდით საქართველოს? ჯერ ეხლა უცხოეთიდან ისე არავინ მოვა საქართველოში, რომ ჩვენ დიდი ნადიმი არ გავუმართოთ და ამით არ ვაგრძნობინოთ „წადი და საცა შენი სთქვა, ჩვენიც იქა სთქვიო“. ან როგორ გავაცნობთ ჩვენ თავს უცხოელებს სხვანაირად, თუ არა ნადიმზედ? სად გამოვიჩენთ ჩვენს თვისებათა და ღირსებათ, თუ არ ქეიფსა და დროს გატარებაში? და ჯიბეში რომ ფულები გამოულევლად იყოს, მაშინ ერთი ნადიმის მაგიერად ორსა და სამს გაუმართავდით და აბა მაშინ ვეყურებინა, რა ქებადიდებას შეგვასხამდნენ მთელ ქართველობას.

— ვითომც რაღაცა შემომესმა: იმ კლუბში ფულები უნდა შეჰკრიფონ ხოლმე მოქეიფეთაგან და ეს შეკრეფილი ფულები უნდა ახმარონ საზოგადო საკეთილო საქმესაო. ამისათვის ჰხსნიან თურმე იმ კლუბს.

— ეგ სულ ტყუილად მოუჭორებიათ!.. თუმცა კი მე რა მენაღვლება რაში და სად წავა ჩემგან დახარჯული კლუბში ფულები: საზოგადო საქმეს მოხმარდება, თუ კერძო კაცის ჯიბეში ჩავა ჩემთვის სულ ერთია; მე მხოლოდ ჩემი სურვილი მოვიკლან — მაქეიფონ და მახარჯვინონ ფულები, როგორც მე მინდა და მსურს. ჩემი საწადელი და სანატრელი მარტოდ-მარტო ეს არის.

— მეც ისე მგონია, რომ ჭორი უნდა იყოს, თორემ, თუ საკეთილო საქმისთვის ფულების შეგროვება უნდოდეთ მარტო იმ კლუბის საშუალებით, ის არ ემჯობინებოდა, რომ პირდაპირ მიემართათ ყველასათვის და ეთხოვნათ შეწირვა? ასე უფრო ბევრსაც შეაგროვებდნენ. ჩემის ფიქრით, და დიდი ხარჯისაგანაც ბევრს დაიფარავდნენ.

— შენ რატომ მაგრე ლაპარაკობ ნინიავ! მაშ ვისაც დახარჯვა უნდა ფულებისა, სად და როგორ დახარჯოს? რამოდენა ფული დამიხარჯავს მე და აბა ვინ გაიგო და დაინახა? ის კლუბი რომ ყოფილიყო, მაშინ კი ყველას ეცოდინებოდა. არა კმარა, რომ მე ვხარჯე ასე უჩინრად და უსახელოდ იმო-

*) იხ. „კლდე“ № 12.

დენა ფული, რომ სხვასაც არ დაადგეს ჩემი დღე? რაც შეეხება საქველმოქმედო საქმეს — განა ცოტა შემიწირავს?!

— ჰო, ძნელი კია ისე — პირდაპირ ფულის გაღება, რაც უნდა საკეთილო საქმისთვის იყოს დანიშნული, თუ არ ხერხითა და მოტყუებით.

— კიდევ!.. კაცო, რამ აგტეხა? იმ კლუბს სხვა არაფერი დანიშნულება არა აქვს რა, გარდა იმისა, რომ ქართველი ხალხის თვისება-ღირსებანი: ქეიფობა, მხიარულობა, დაუზოგველად ფულების ხარჯვა და სხვა ამისთანები გამოფინოს საქვეყნოდ და უფრო ნათელ ჰყოს იმათთვისაც, ვისაც რაიმე მიზეზით ვერ შეუტყვია აქამდის ჩვენი უნარი. რამდენი ახალგაზრდა არის აღტურვილი ამ თვისებებით და ვერსად კი ვერ გამოუჩენია.. შენ არ გესმის, თუ რა დიდებული საქმეს ჩაეყრება საძირკველი იმ კლუბის დაარსებით. ვინა! მე რომ ის მამულ-დედული, რასაც აქამდე ნაწილ ნაწილად ვყიდდი, ისევ ხელ-უხლებელი მქონდეს ეხლა, ამავე წუთში სულ მთლიანად გავყიდდი და მთელ მათში აღებულ ფასს ერთ ღამეს შევწირავდი მსხვერპლად ამ საშვილიშვილო დაწესებულებას! ახ, რა ავჩქარდი! ეს ოხერი სხვაფრივ, თითქოს გაფრთხილებული ფარდა ვიყავი და იმაში კი ვერ გამოვიჩინე შორს მჭვრეტელობა, თუ რა მომავალი გაგვიღიმებდა ჩვენ, ქართველებს. ლამის რომ იტყვიან, ფურმა იწველა — იწველა, ჰკრა წიხლი და დაღვარაო, სწორედ ისე მომივიდეს. კაცმა აქამდის ჩემზედ წინ არავინ გავატარე, ყველგან და ყოველ დროს პირველი მე ვიყავი და ეხლა კი, როცა დგება დრო და ჟამი უფრო მომეტებულად და საქვეყნოდ თავის გამოჩენისა, ფულები აღარა მაქვს, რომ დავესწრო ამ ბრწყინვალე ხალხოსნურ დღესასწაულზედ. და ჩემი დაუსწრებლობაც არ შეიძლება! მაშ რიღას ქართველი ვარ რომ მთელი საქართველოს ამ ერთად ერთი ძვირფასი დაწესებულების დაფუძნებაში მონაწილეობა არ მივიღო? მაშინ დედამიწაზედ ღა გამეცლება! ყველანი მოვალენი ვართ ამისთანა დროს ვასახელოთ ჩვენი სამშობლო, ვისაც როგორ შეგვიძლიან; და ვინც ჩამორჩება უკან, ის დიდი მოღალატე იქნება სამშობლოსი.

— შენც წინ რა გიდგა ბატონო, რომ არ მიიღო მონაწილეობა?

— გასაყიდი რომ აღარაფერი მაქვს — საიდან რა მოვაგვარო?

— რატომაც აღარაფერი გაქვს? მტერსაც ნუ ქენებ!

— აბა რა?

— რა და — ტყეები!

— ვის რად უნდა კლდე-ღრეები და გორები, რომ ერთიანად იყიდოს? შეშა-ფიჩხის წვრილ-წვრილად გაყიდვით კიდე რა ბარაქას მოჰკიდებს კაცი: რა იმდენი უნდა შეგროვდეს, რომ საკლუბედ მეყოს და ისიც მის პირველ გახსნაში, როდესაც ნამდვილი დროა თავის გამოჩენისა და სახელის მოპოვებისა.

— რასაკვირველია მარტო შეშა-ფიჩხი იოლას ვერ წაგიყვანს. ამისთვის შენც აიღე და მთელი ტყეები პირ-აღებით და ერთიანად მიეცი გადასაკაჭად. მე ვიცი მუშტარი არ გამოგიჩნდება! იქნება არც კი ეყოთ (თელი შენი ტყეები — იმოდენა მუშტარი დაგედება. შენ ოღონდ კი დათქვი და სხვა რომ არავინ — მარტო მესაკირეებს არ ეყოფათ მთლად შენი ტყეები.

— ბიჭო, ეგ რა კარგი მაიგონე! — და სიხარულით მიჰვარდა განსვენებული ნინიას, გადაეხვია და შუბლზედ აკოცა. — აბა ერთი დატრიალდი, ჩემო ნინიავ,, და ეგ საქმე გაჩარხე ჩქარა, ხუმრობა არ არის, დაყოვნება აღარ შეიძლება!

ერთი მაშინაც გადაეხვია და დაუკოცნა ნინიას შუბლი, როცა მან საქმე „გაჩარხა“ და ათათ თუმნიანები ჩაუთვალა განსვენებულს ხელში.

როცა ახალ კლუბში დაუზოგველად ამოდიოდა ფული განსვენებულის ჯიბიდგან და მისი ნაცნობნი თუ უცნობნი თავის გაქნევით ანუ თვალების გამომეტყველებით აღნიშნავდნენ თვის გაკვირვებას, — ამისთანა ცნობის მოყვარულთა საპასუხოდ მედიდურად და საყოველთაოდ გასაგონრად გაიძახოდა იგი: „რომელ ჩირგვსაც კი წიხლი წამოვკარ ჩემ ტყეში, ჭრელ-ჭრელი თუმნიანები გადმომიგდოვო.“

VI

უნდა, სამწუხაროდ, ვაღიაროთ, რომ უბადლურ მემკვიდრეთ აქამდის არ მოუყვანიათ სისრულეში განსვენებულის ანდერძი. და თუ ბედნიერი შემთხვევის წყალობით არ გამომემზევებინა, უთუოდ დაეკარგებოდა ეს განძი სამშობლო ისტორიას.

რა გასამართლებელი საბუთი ჰქონდათ განსვენებულის მემკვიდრეთ ანდერძის გატეხისათვის, — ამისი გამოცნობა ძლიერ ძნელია... ხომ მეტად არსცნეს მათ ხელოვნური ძეგლის-დადგმა განსვენებულის საფლავზედ და **არა ფიქრობენ**, რომ გან-

სვენებულმა სიცოცხლეშივე აიგო უკვე ხელთუქმნელი ძეგლი? ძლიერ შესაძლებელია, რომ ამნაირ ძეგლათ მათ მიაჩნდეთ შემდეგი:

იმ ადგილებს, რომელნიც ხშირი და გაუვალი ტყეებით იყვნენ შემოსილნი, ეხლა ტყის ნასახიც აღარ ადევთ: ეხლა ეს ადგილები წარმოადგენენ ხრიოკ და გამოუსადეგარ ხევ-ღრეებს და კლდეგორებს.— ერთხელ შემთხვევით გაიარა ამ გახრიოკებულ ადგილებში განსვენებულმა და ნინიას, ნიშნის მიგებით, მიჰმართა: „ჰი, ვერ ვიფრინე, ნინიავ, შენი ირმებ-დათვები, ერთ დროს ამ ადგილებში რომ ბუდრაობდნენო! არა, როდის მიიღეს იმათ ჩემგნით გაზატების ფირმანი, რომ ჩემს მამულში ცხოვრობდნენ და ბინადრობდნენ და არაფერ მოვალეობას კი არ იზდიდნენ ჩემს სასარგებლოდო“.—

რაც რამ ნაკადულები და ჩანჩქარეები ჩამოდიოდნენ ტყით დაფარულ ხევებში, ან ტბა-გუბე იყო სადმე, სულ ერთიანად დაშრა მათმა დაშრობამაც არ ჩაუარა განსვენებულს უნაყოფოდ. თითქმის მოულოდნელად გამოუჩდნენ ქვისა და ქვიშის მუშტრები და ისე გამოაღადვრინა დამშრალი ხევები, რომ დედამიწის ნიადაგამდის დააყვანინა. თანაც სიამოვნებით გაიძახოდა: „რა ყველაფერი ყოფილა გამოსადეგი; უბრალო კენჭი რა არის— ისიც კი ფულს იძლევაო“.—

ყველა წყაროებიც, რომლებითაც სოფლის მცხოვრებლები სარგებლობდნენ, დაშრნენ—დაპატარავდნენ ისე, რომ მთელი სოფლის მანდილოსანნი მოიყრიან ხოლმე თავს ყოველ დღე ამ წყაროებთან და უცდიან კოკების ავსების ჯერს.

უცხო ტომის ახლად მოსულნი და სოფლის მიდამოებში დასახლებულნი სალტესავით გარს შემოერტყნენ სოფელს და აღარსაით უშვებენ ბინადარ სოფლის მცხოვრებთ და არც მათ ოთხფეხა საქონელს. სოფელი იღრჩობა სივიწროეში.

რა თქმა უნდა, რომ სოფლის ბინადარი მცხოვრებლები არასოდეს არ ივიწყებენ განსვენებულს და ყოველ ჟამსა და წუთს იხსენიებენ მას. და თუ ანდერძით დავალებული ძეგლის მიზანიც მხოლოდ ის იყო, რომ უზრუნველ ეყო განსვენებულს ყოველ წუთს თვისი ხსენება და მემკვიდრეებმაც ასე გაიგეს, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ უკანასკნელთ, რომ მართლაც და განსვენებულმა სიცოცხლეშივე დაიდგა ისეთი ხელთუქმნელი ძეგლი, რომელსაც ვერ შეედრება ვერა რაიმე ხელოვნური ძეგლი, თუნდაც იგი მთლად ოქროსაგან იყოს ჩამოსხმული და თვალ-მარგალიტით მოჭედილი.

ბავშვები **აკაკის** საფლავთან (ფოტოგრაფია სტრუსი).

მელანია.

1914 წ.

უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(კვირიდან-კვირამდე)

ნეტარ ხსენებული აკაკი, უკულმართ პირობების გამო ცხოვრების სათავეზე. მოტივტივებულ ზოგიერთ „ნოღვაწეთა“ დასახასიათებლად, იტყოდა ხოლმე:

„...სახლში მარხულად ბრძანდება,
ძროხას შესჭამს შენსას თუა...
„გეწვევიო“ — მართალს ამბობს,
რომ გპატიჟობს, — მაშინ სტყუა...“

ჰმ! საბრალო აკაკი, რას წარმოიდგენდა, თუ ჩვენი ცხოვრება ,,პროგრესიულად'' უფრო ,,წინ'' წავიდოდა! ნეტავი თუ იგი რაღას იტყოდა, რომ გაეგო, ამ ცოტა ხანში, სოფლის მოხელეებს, რომ თითქმის მთელი 1200 კომლოვანი **სოფელი მარტყოფი შეუჭამიათ**? თუ არა გჯერათ, გადიკითხეთ გაზ. ,,თემის'' ბოლო № 213-ში დაბეჭდილი წერილი ბ. ტ. კრიხელისა და დარწმუნდებით. ბარაქალა, კუჭებო, თქვენ მომნელეობას!... საყურადღებო უფრო აქ ის არის, რომ ამ სოფელს სათავეში სულ ერთი პროფესიის ხალხი მოჰქცეულა: ,,მამასახლისი სვ. მათიაშვილი—მიკიტანი, ნაცვალი გიგო თვალიაშვილი - მიკიტანი, მეორე ნაცვალი ვასო ძამაშვილი—მიკიტანი'' და ამ მიკიტან-მმართველების ღირსეული თანამშრომელი ყოფილა სოფლის—მწერალი ვასილ სოსელია, რომელიც, ვითარ პრინციპიალური მოწინააღმდეგე ღვინისა,—სადაც ნახავს ღვინოს უეჭველად უნდა რომ იგი „მოსპოსო''...ეი სად მომხდარა გაერთიანება ყველა სოფლების მიკიტნებისა თუ არა, მარტყოფისა მაინც.

—

ჩვენ ვიცით, რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ასეთსავე ,,პროგრესის'' გზაზედ იდგა, თბილისზე მახლობლად მდებარე, **სოფელი ღილომიც**, სადაც მოქმედების ფართო სარბიელი მოეპოვა მთელ შვიდ სამიკიტნოს და თუ ამ სოფლისაც თანდათანი გამიკიტნება ამ ბოლო დროს შეჩერდა, ამაში, ცოტა არ იყოს, ,,დანაშაული'' მიუძღვით ისეთ ჩუმჩუმა მუშაკთ, როგორიც არიან მოძღვარი ივ. სონღოლაშვილი, ექიმი ბ. დემურია და სხვა.

—

თუ ამერეთის ზოგიერთ სოფლებს, როგორც ხედავთ, ,,ჯეროვანი — წინ-სვლა'' ეტყობათ, სამაგიეროდ ,,რეგრესს და ჩამორჩენას'' ვხედავთ ზოგიერთსავე იმერეთეთის (სამეგრელოს) სოფლების ცხოვრებაში: როგორც გაზ. ,,შადრევანი'' (№ 16) გვატყობინებს, აბაშის საკრედიტო ამხანაგობას გაუმართავს კრებები და შვიდ სოფელში მოუსპობინებია დღეობების გადახდა (ჩვენებური, ბატონებო,—მამა-პაპური,—ვაგლახ!...) „საწყენი'' უფრო ის არის, რომ აბაშელთა მაგალითისთვის მიუბაძავათ: ქალეუბნის, სუჯუნისის, ონტოფოსის და სხვა ამხანაგობათაც, რომელთაც მოუსპიათ აღდგომა-ახალწელს სუფრის გაწყობა და ,,ვიზიტები''; უარ უყვიათ ტირილ-ქელეხი (საბრალო იქაური ,ღვდელ-დიაკვნები!) და, როგორც ბ. ქობულია იტყობინება, გამოუმუშავებიათ (მე რომ ამ სიტყვას ვერა გზით შევეგუე!...) „ტირილის ახალი ფორმა“, რომ ხალხი ასცდეს (ვითომ და!) უაზრო და გამანადგურებელ ხარჯებსო“... არა, ბატონებო, თქვენ როგორც გნებავთ და მე კი საჯაროთ ვაღვიარებ, რომ დიდი წინააღმდეგი ვარ ასეთი ძველის-ძველ ტრადიციების მოსპობისა და, ცოტა არ იყოს, ეროვნულ ელფერის დაკარგვისა... წინადადება შემომაქვს, როგორც ნამდვილ წევრს ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებისას, (თუმცა, ჩვენ შორის დარჩეს და, აგერ მეხუთე წელიწადია, რაც საწევრო გადასახადი არ შემიტანია,) რომ, ამ საზოგადოებისვე ხარჯით, ამერეთიდან იმერეთში გადატანილ იქმნას რამდენიმე სამიკიტნო მაინც, თუ გვინდა მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ავიცილოთ.

—

სულ სხვა გვარი მეორე საფრთხის აღნიშვნაზე დავესწარით ეგრეთვე ამას წინად. უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად სიმპატიური, ჩუმი და ნაყოფიერი მუშაკია **ჩვენი ისტორიკოსი ბ. ს. გორგაძე**, მაგრამ იმასაც ერთნაირი ახირება სჭირებია: ამ ერთი-ოდე თვის წინად, ქართ. კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე, ბ. გორგაძემ წაიკითხა თავისი ვრცელი მოხსენება, რომლითაც ამტკიცებდა, რომ აუცილებლად საჭიროა ღირსეულად მოევლოს დიდ თანამედროვე ნაკლის ჩვენი მწერლობისა—ქართული ენის ღრამატიკას, თუ არ გვინდა ასეთ დაქსაქსულად, ჩიქირთულად

1. **ერცჰერცოგი ფრიდრიხი**, ავსტრიის ჯარების მთავარ-სარდალი, რომელმაც ვერ მოახერხა პერემიშლის განთავისუფლება. 2. **გენერალი კუსმნეკი**, პერემიშლაის კომენდანტი.

ვწერით, და, როგორც ყველა სხვა კულ-ტუროსან ერებს შეუქმნიათ, ჩვენც შევ-ქმნათ საერთო აკადემიურ-ლიტერატურული ენაო. და წარმოიდგინეთ, კინაღამ გაიყვანა ეს მრავალთა-თვის (და მათ შრის თქვენ უმორჩილეს მონისათვი-საც) ძნელად შესაგუებელი და «სახლაფორთო“ მოსაზრება! კიდევ კარგი, რომ კრებაზედ აღმოჩ-ნდნენ ისეთნიც, რომელთაც ბ. გორგაძეს სიტყვა „გაუტრიზანეს“ და დაგვარწმუნეს: სულ ტყუილია, „კაცმა როგორც გინდათ ისე სწეროს, ოღონდ გასაგებათ ილაპარაკოს; ჩვენ ლაპარაკიც არ ვიცი-თო“... ჩემი აზრითაც ეს სრული ჭეშმარიტება გახ-ლავთ: მართლაც და, მაგალითად, ქუთათურს თუ არ უთხარით: „კაზიონი გოროდის კლასში სტეკ-ლოებს ვაჯენო“,—სხვანაირად ვერც კი გააგებინებთ, რის თქმა გინდათ. ერთი სიტყვით, ,,ჯინიანი'' და ახირებული კაცი ბრძანებულა ბ. გორგაძე!..

—

და ერთნაირი ახირებულება გადასდებია აგრედვე თვით **ქართულ კულტურულ მოყვარულთა საზოგადოების გამგეობასაც**. აი საბუთიც: გასულ კვირას დავესწარი ამ საზოგადოების კრებას, რო-მელსაც თავ-მჯდომარეობდა გამგეობის ერთი წევ-რთაგანი, **ვექილი ბ. ე. გორდეზიანი**. (ვექილები ხომ საზოგადოთ ჟინიანი და ამასთანავე მოხერხებუ-ლი ხალხია: თავის ნათქვამს, როგორც მექოთნე ქოთანს, ყურს საითაც უნდა იქით მოაბავს!) ჰო და, აღნიშნულ კრებაზე, ერთ დამსწრეთაგანმა (ისიც ვექილი იყო და უნებლიეთ გამახსენდა ერ-თი ებრაელი, რომელმაც ასეთ შემთხვევაზედ სთქვა: „მარცხი-მარცხს გადაჰკიდებია“!...) სთხოვა დეზე-ზიანს... უკაცრავად, ბ. გორდეზიანს, რომ ნება მიბოძე ჩემი სიტყვა უცხო ენაზე მოგახსენო, ვინაი-დგან დედა-ენაზედ იმას ჯეროვანად ვერ გამოვხა-ტავ, რის თქმაც მინდაო. დამეთანხმეთ, რომ ეს ბუნებრივი და კანონიერი თხოვნა იყო, ვინაიდან, ჩვენებურ ინტელიგენტთა შორის, ვერ შეხვდებით ხუთიოდე კაცსაც ისეთს, რომელთაც თავისუ-ფლად, ძალ-დაუტანებლად შეეძლოთ ქართულ ენაზე ბაასი... მაგრამ გაჯიუტდა, შეხტა და შემოტრიალდა ჩვენი თავმჯდომარე, ნება არ მისცა და თავისი, ჟინიანობით გამოწვეულ, სიკერპის გასამარ-თებლად, მოედო რაღაც ლობე-ყორეს: „თვით ჩვენ საზოგადოების—მიერ დასახულ მიზანს არ შეეგუება „კრებებზე უცხო ენაზე ლაპარაკიო“—და სხვა და სხვა. კიდევ კარგი რომ ჩვენში იშვიათია გორდეზია-ნისთანა ახირებული თავმჯდომარეები, თორემ, შენი მტერი, ჩვენ მოგვიხდებოდა ან მუნჯური კრებები გაგვემართა, ან, როგორც რუსები იტყვიან: „всѣ лавки закрывать! ვინაიდგან, თითქმის ყველა ჩვენ

საზოგადოებრივ კრებებზედ ენების მთელი დომხალია ხოლმე. ან სად გაგონილა ჩვენში, რომ კრებებზედ, თავიდან-ბოლომდე, დედა-ენაზე ილაპარაკონ??...

—

ამ კრებაზე წაკითხული ბ. გ. ჟორდანიას—მიერ მოხსენება კი—ჩვენებურ ქორწინებაზე—მართლაც საყურადღებო იყო. დარწმუნებული ვარ, ბევრს ჩვენებურ „ბარიშნა—ჟენიხებსაც“ გული დასწყდებათ, რომ, უცოდინარობით, არ დაესწრნენ ამ... სიტყვიერ ქორწინს მაინც...

—

ნეტავი იმას, ვინც მართლა ქორწინების, ან თუ ოხუნჯობის გუნებაზე იყოს! მე კი ეხლა **ჩემი სატკივარი მაქვს** და ამ სატკივარზე შენთან საჩივარი, მკითხველო! მე გული მტკივა, რომ ჩემი დღიურიდან, გარეშე, ჩემი სურვილისა, მაიძულებენ ისეთ მშრალ ამბების ამოკრებას, რასაც არც რამ სიმახვილე აქვს, არც ფხა, არც რამ ისეთი შინაარსი, რის გაზიარებაც ისე მწადიან შენთან და რასაც მართლა შეეძლებოდა ჯეროვანის დაკვირვებით მოექცია შენი, ჩვეულებრივად ჩემსავ—გვერდივ უზრუნველი ყურადღება. პირად ჩემ ყოფაში შეიძლება ბედის საჯდურავი არაფერი მქონდეს, მაგრამ ვერც კი წარმომიდგენია ისეთი ცოტად თუ ბევრად მოაზროვნე და მგრძნობიარე ადამიანი, რომელსაც პირად უზრუნველ-ყოფით შეექმნას გულის სიმშვიდე! გარეშე საზოგადოებრივ ეროვნულ დალხინება—დაავადებასა! არ შეიძლება ადამიანმა, ამ სიტყვას ღირსეული მნიშვნელობით, ზნეობრივის სიმშვიდით კუჭი ამოიქოლოს მაშინ, როცა მის გარშემო, მისსავე სისხლისა და ხორცის მოძმეთა ოხვრა-კვნესა ისმის; მას არ შეუძლიან დამშვიდებით ლუკმა გადაყლაპოს, თუ წარმოიდგენს, რომ მთელი წყება თვის თანამოძმეთა სოფლებისა, ვაი-ვაგლახით შეძენილ ავლა-დიდებით, ცეცხლმა და მახვილმა იმსხვერპლა და გადარჩენილნი კიდევ ტყესა და ღრეს მოსდებიან...

დიახ, არიან ხოლმე ისრეთი წუთები, როცა შენს გარდუვალ მოთხოვნილებას შეადგენს მართალი და საგულისხმიერო სიტყვა გაუზიარო შენს მეგობარ—მკითხველსაც, მაგრამ... ისეთი ნაკარნახებ-ნაწერებიც რაღაც უდღეური გამოდიან, თითქოს მათ ვერ იკარებდეს ქაღალდი, და უკანასკნელი **უმალ ისეთივე სუფთა, უსიტყვო რჩება, როგორიც,** მაგალითად, იხილე გასულ კვირის ნომერში... ასეთ შემთხვევაში მზათა ხართ მთელი თქვენი დაგუბებული ჯავრი თვით რედაკტორზე იყაროთ, რომელსაც დაჟინებით სთხოვთ პასუხს თქვენ შრომის და რწმენისადმი იმგვარ უდიერად მოპყრობისათვის, მაგრამ, მოშავებედებულ=მოკუნტული რედაკტორიც მისჯდომია ღარიბ მაგიდას და თავისთვის გამოურკვევლად რაღაცას ბუზღუნობს... ამიტომაც ნუ დაგვემდურებით მაინც, მკითხველო, თუ მხოლოდ ღა „საოხუნჯო ამბებით“ ვსცდილობთ რამენაირად თქვენს გართობას... ოთარ ბეგისა არ იყოს, ჩვენც. ,,ვიცინით, დიახ, ვიცინით!..''

გ. ახ—ელი.

——

P. S. ის იყო ზემოთ ამონაწერი დღიურიდან გავათავე, რომ მეზობელ ბინიდან მომესმა სიმღერის ხმა.

— შესწყვიტეთ!.. გაჩუმდით!..—ამ ძახილით, გაბოროტებული, გავვარდი გარეთ იმ მიზნით, რომ მომღერალთ შევვარდნოდი და სიმღერა შემეწყვეტინებინა საყვედურით: „არა გრცხვენიათ, რა დროს სიმღერის და ლხინის დროა!..“ მაგრამ, მომღერალთ რომ მიუახლოვდი, როგორც სიმღერის ნაღვლიანმა ჰანგმა, აგრედვე უფრო სიმღერის შინაარსმა, აფორიაქებული ნერვები დამიმშვიდა, გამანელა, მუხლებში ღონე წამართვა... მწყობრი, შეხმატკბილებული ჰანგი ჰკვნესოდა, უიმედოთ სჩიოდა და ღრმად სწვდებოდა დაავადებულის გულს:

„რა კარგი რამ ხარ ჩემო სამშობლოვ:
ლამაზი, ტურფა და მოკაზმული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული“...

ეს „სიმღერა“ ეფინებოდა, სამწუხაროთ, მეტად მცირე მიდამოს...

მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
უფრო იმდენად მიკვდება გული...

მეც, მთელი დღე ღიღინით, ვიმეორებდი ამ სიტყვებს...

გ. ახ—ელი.

სხვა და სხვა ამბები

✯ **ქართულ კულტ. მოყ. საზოგადოებაში.** შაბათს, 4 აპრილს თავად-აზნაურთა დეპ. საკრებულოში გაიმართა ქართ. კულ. მოყვარულთა საზოგადოების კრება გ. გორდეზიანის თავმჯდომარეობით. კრებამ განსახილველი საგნებიდან მხოლოდ გ. ჟორდანიას მოხსენება მოისმინა: „ქართლის საქორწინო ადათები, როგორც საისტორიო-სასოციოლოგიო მასალა". მოხსენების წინ თავმჯდომარემ მოკლედ და მკაფიოდ დაუხასიათა მნიშვნელობა ისტორიულ-კულტურული ნაშთებისა, ზნე-ჩვეულებათა, ადათებისა, ხალხურ სიმღერებისა და სხვა. ყველა ეს იგივე დაუწერავი კანონებია, რომელიც ახასიათებს ხალხის კულტურულ მდგომარეობასაო. შემდეგ მოხსენება წაიკითხა თვით ჟორდანიამ. მოხსენება ფრიად შინაარსიანი გამოდგა და დამსწრე საზოგადოებაც, რომელიც ბლომად იყო, დიდად ნასიამოვნები დარჩა. მოხსენების შემდეგ საუბარში მონაწილეობა მიიღეს კ. ყიფიანმა, პ. მირიანაშვილმა, ს. გორგაძემ, გამსახურდიამ, ივ. ავალიშვილმა და სხვ.

P. S. შაბათს, 18 აპრილს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზშივე გაიმართება საღამოს 8 საათზე ხსენებულ საზოგადოების კრება, რომელზედაც გ. თ. ჟორდანია წაიკითხავს თავის მეორე მოხსენებას: „ხალხური სამართალი ქართლში".

შემდეგ გაიმართება კამათი. კრებაზე დასწრება და კამათში მონაწილეობა ყველას შეუძლიან.

✯ კონსტანტინე დიმიტრის ძე ეიფიანი, კარგა ხანია მას შემდეგ რაც ქართულ-რუსულ ლექსიკონის შედგენაზედ შრომობს, თითქმის 30 წელზედ მეტი.

ამჟამად შრომა უკვე დაუმთავრებია და დასაბეჭდათაც დაუმზადებია, ამ საქმის გამო მას წერა-კითხვის გამგეობისთვისაც მიუმართავს თხოვნით, რათა მათ ეს მისი შრომა წიგნად გამოსცენ. აქამდისაც კონ. ეიფიანი ასეთის შრომითაც არის ჩვენში ცნობილი, ადრე მან გამოსცა ქართულ-დათინურ-რუსული ბოტანიკური ლექსიკონი ამას გარდა ქართულ სამეცნიერო ტერმინების კრებული და სხ.

(ეურნალ გაზეთებიდან)

✦ **დიდი ვეზირის აზრი ოსმალეთის გამოსვლაზე.** ნიუორკის წარმომადგენელს სტამბოლში უსაუბრნია დიდ ვეზირთან ოსმალეთის ომში ჩარევის შესახებ. აი, სხვათაშორის, რა უთქვამს ვეზირს: ,,ოსმალებმა უარჰყვეს მოკავშირეთა წინადადება, ვითომც ოსმალეთს 30 წლ. განმავლობაში ხელს ვერავინ ახლებდა. ასეთი გარანტიის მიღება დიდ ენებას მიაყენებდა ოსმალეთის სუვერენიტეტს. ოსმალეთი გამოცდილებამ კარგად დაარწმუნა, რომ სამთა კავშირის აღთქმა ვერ იქნებოდა საფუძვლიანი. ჩვენ დავიღალეთ მათი პირფერობით და ცრუ აღთქმებით. ოსმალებს სურთ თავიანთი ბედი თვითონვე გამოსჭედონ. ოსმალეთის აღორძინებამ, რომელიც 6 წლის წინად დაიწყო, მთელი მხარე საოცრად წამოსწია, გააღონიერა ნივთიერად და გონებრივადაც აამაღლა. ოსმალოები ბარბაროსები არ არიან, შავ-კანიანები, ანუ ყვითელი მოდგმის ხალხი, არა, ესენი თეთრები არიან და უფლებაცა აქვთ სხვა თეთრ ერებთან იცხოვრონ მეზობლურად და მშვიდობიანად. მაგრამ მათ ვერვინ მიუხვდა გულისპასუხს, ამიტომ არც ერთი არ მოპყრობია სიმპატიით. უკანასკნელ დღემდე ოსმალეთი მხოლოდ პაიკი იყო ევროპის დიპლომატთა ხელში. მის ინტერესებს არავინ იცავდა, გული არავის შესტკივოდა. ჩვენ დავიღალეთ ყველა ამისგან და დღეს ოსმალეთი თავის არსებობისთვის იბრძვის. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომც ოსმალეთი შეიძლება ახლა ავსტრო-გერმანიის უღელ ქვეშ ჩავარდეს, ესეც ტყუილია: განა ავსტრია და იტალია თავიანთ მოკავშირეთა უღელ ქვეშ როდისმე ჩავარდნილან?

✯ **ახალი ტიპის ყუმბარები.** შვეიცარიაში საფრანგეთიდან მოსული აფიცრები ამბობენ, რომ საპოზიციო ომის დროს გერმანელები ახალ სასროლ ყუმბარებს ხმარობენ, რომელსაც ფრანგებმა „შამპანიურის ბოთლები" უწოდესო, ასეთ ყუმბარებს ან ხელით ისვრიან, ან განსაკუთრებული სასროლი მანქანებით. ამ ყუმბარების აფეთქება ძლიერი და გამნადგურებელი ძალით ხდება. საცა ეცემა დიამეტრი უდრის 40 ფუტს, ხოლო სიღრმე 15 ფ. რომ ყუმბარა არ აფეთქებულიყოს, ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. ეს გარემოება ფრანგ ქიმიკოსებს აფიქრებინებს, რომ ყუმბარის ნივთიერების მელინი და დინამიტი კი არ შეადგენს, არამედ ჰაერის სითხე, ანუ ნახშირ-მჟავიო. ყველანი დიდის გაფაციცებით იკვლევენ თავ-თავიანთ ლაბორატორიებში თუნდა ისეთი სახელოვანი მეცნიერნი, როგორიც არიან ტიურპენი და გასტონ-მარვე.

✦ **გერმანელი იურისტები ომის ველზე.** ,,Deutsche Juristenzeitung"ის ცნობით დღემ-

დე ომის ველზე დაცემულა 1,472 გერმანელი იურისტი, ამათ შორის 7 უნივ. პროფესორი, 313 მსაჯული და ბრალ-მდებელი და 1,162 ვექილი.

გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი

„რ. ვ." კორესპონდენტი თავის წერილებში ასწერს გერმანელთა მართლაც და განსაცვიფრებელ ტეხნიკისა და აღმოჩენის შესახებ. გერმანული ტეხნიკას საოცარი სისწრაფით გაჰყავს ელექტრონი უმავთულოდ და ურეზინოთ, ქაღალდისაგან აკეთებენ ბამბას, ძველი გაზეთებიდან ჰკერენ ზამთრის საბნებსა და ტანსაცმელებს, სამზარეულოს ნარჩენებიდან ჰკვებენ საქონელს, „ჩალის ფქვილით" ჰკვებავენ ღორებს, ქალაქის მოედნებზე, უდაბნო ადგილებზე და ნაჭაობრებზე სთესენ კარტოფილსა და პურს, შაქრისაგან ჰხდიან სპირტს და ამოძრავებენ ავტომობილებს, ჰქმნიან ერთგვარ მცენარეობის ჯიშს, რომელიც იძლევა oleum riconi-ს, უწველებოდ აკეთებენ ძეხვებს, ურეზინის ძაფოდ ჰქსოვენ საწვიმურებს და სხვა და სხვა.

მაგრამ ყველაზე უდიდესი აღმოჩენა გერმანელთა ტეხნიკაში აღსანიშნავია სრულებით ახალი საშუალება ჰაერშივე აზოტის დაჭერა მოგროვება. აზოტი აუცილებელი საჭიროებაა მიწათმოქმედებისა და ასაფეთქებელ ნივთიერებისთვის. გერმანიაში ძალიან ცოტა აზოტი იყო ყოველწლიურად 180 მილიონ მარკისას იწერდნენ ჩილიდან. ამიერიდან კი უმთავრესი ქარხნები აუშენებიათ ბიტერფელდში, ბერლინის მახლობლად. საფინანსო მხარე უკისრნია ბერლინის საელექტრონო საზოგადოების კავშირს. ეს ახალი აღმოჩენა, აზოტის პირდაპირ ჰაერშივე დაჭერა, უზრუნველსა ჰყოფს გერმანიას, როგორც მინდვრების დასამუშავებლად, ისე ასაფეთქებელ ნივთიერების მოსამზადებლად და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ ახალი აღმოჩენით სახელმწიფომ ახალი შემოსავალის წყარო შეიძინა. ვიდრე გაღებულ ხარჯს არ აინაზღაურებენ, შვიდი წლის განმავლობაში, მარტ. 1922 წ. არსდება სახელმწიფო მონოპოლია.

X

ქ-ნი ნინო ჩხეიძე მედეას როლში

ბევრი რამ გამეგონა ქ. ჩხეიძის მედეის შესახებ. ამ მსახიობის მადლიან ნიჭში ეჭვი არასოდეს არ შემიტანია და ამიტომ უფრო ხალისიანად წაველ 8 აპრილს სახალხო სახლში „მედეას" სანახავად. აქვე უნდა შევნიშნო, რომ პიესა მაინცა და მაინც სახარბიელოს არას წარმოადგენს. იგი ყალბ ეფექტებზეა დამყარებული, სცენიურ ხელოვნებას ბევრად ვერ აკმაყოფილებს, არაბუნებრიობა, ტიპების ფერმკრთალობა თავისთავად ჰგულისხმობს, რომ პიესა მარცხით უნდა გათავდეს. ანტიურ ხელოვნებაში მხატვრული შემოქმედება და თვით პიროვნებანი ერთურთისაგან თავიანთი მთლიანობით, სრული მოხაზულობით განსხვავდებოდნენ. სუვორინი კი თავიდან ბოლომდე ყალბადა სწერს, არც ერთი მის მიერ დასურათებული მოქმედი პირი არ წარმოადგენს სრულს, სკულპტურულ პიროვნებას; თვით მედეაც კი მეტად ფერმკრთალია, ბუნებრიობას დაშორებული. თუ არ გავიხსენებთ ადგილ-ადგილ საეფექტო ძლიერ ხაზებს, რაც ისტორიამ გადმოგვცა და ყოვლად უნიჭო მხატვრის ხელშიაც კი ჯადოსნურ ფერადების სახეს იღებს, ეს პიესა გროშად არ ეღირებოდა და მისი დადგმაც ზედმეტი იქნებოდა ჩვენს სცენაზე, როგორც ესთეტიურ გრძნობათა გამრყვნელი პიესა.

მართლაც ძლიერი ხელოვანი უნდა იყოს მსახიობი, რომ ამ ბავშვურ საჩხირკედელო პიესას სული ჩაუდგას, აღმაღლდეს და აღგვამაღლოს ხელოვნების თეთრთოვლა მწვერვალამდე. და ეს ხელოვნება, ასეთი ჯადოსნობა შესძლო ქ-ნმა ჩხეიძემ, მან გადაჭლახა სიძნელის ყოველგვარი ზღუდე და ავტორის სისუსტე უბადლო ნიჭის წყალობით ერთი ათად გამოისყიდა.

უდიდესი ძღვენი, რაც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია, ეს გახლავთ ხმა, ეს ნაზი, მეტად ლბილი და ყვავილებთან მოალერსე ნიავი, რომელიც ტონთა მრავალფეროვანი მუსიკობით უნებლიედ გხიბლავთ, გაჯადოვებთ. საკმარისია სცენაზე გაისმას იგი, რომ ელექტრონმა დაგიაროთ, მოგხიბლოთ და ისე შეგიპყროთ, როგორც მორწმუნე სამრეკლოდან სალიტანიო ზარის ხმამ. თქვენ გავიწყდებათ ჩვენი სცენის სიღარიბე, გავიწყდებათ თვით მსახიობთა პერსონალის სისუსტე-ნაკლულევანება, გავიწყდებათ თვით ანტურაჟის სიმშვლე, სრული განცვეთილობა, რასაც ვითომც კორინთის მეფე კრეონის სასახლე, კარმიდამო და ფირუზოვანი ზღვის კიდე და მოქალაქენი

უნდა დაეხატნა. თუ რამ ესთეტიურ გემოვნებისა ესმის ადამიანს, უეჭველია, ერთ წუთითაც არ გაჩერდება ამ სატირკო სცენის სანახავად, მაგრამ არა, აი, გაისმის მედეას განწირული ხმა: „გვიშველეთ..!“ და სანახაობაც სხვა სახეს იღებს. უსიამოვნო შთაბეჭდილება ფილოქტეტის (კორიშელი) წინ თავმოყრილ ბრბოს მიერ იფანტება და წუთიერად ფრთას ისხავს სასურველი ილუზია, რომლის მოლოდინიც ინსტიქტიურად გვქონდა. მართლაც, განწირულ ხმის შემდეგ გამოჩნდა თუ არა კიდეზე მედეა თავისი ბავშვებით, ბრბო მოქმედ პირებითურთ გამჭვირვალე ფონზე ლანდებად დაიხატა, მათ იქ ყოფნას ვერავინ ამჩნევდა. თვით უსულო ტილო, გახუნებული დეკორაცია სასურველ ლანდშაფტად გაიშალა, როგორც კორინთის კონცხის საუცხოვო ლაჟვარდი კიდე...

შემდეგ, თითქმის ოთხივ მოქმედებაში უფრო მის გამოსვლაზე საზოგადოებაში სწრაფი მოძრაობა ასტყდება ხოლმე და წუთითვე ყურ განაბული აშტერდებოდა მას. საუცხოვო ხელოვნებით ჩაატარა სცენები საუბარი კრეუზასთან და იაზონთან. გაწეწილ კიშრის თმით, თეთრი სამოსით, გაწამებული სახით, მღელვარე და მოელვარე ანთებული თვალებით ერთსა და იმავე დროს მაყურებელში იწვევდა განცვიფრებას და თანაგრძნობას, შიშსა და უსაზღვრო სიმპატიას. დიდებული რამ იყო იაზონის მიერ შეურაცხყოფის დროს. ამ დროს ეს შეგინებული უცხო ქალი მთელს თავის მეფური მედიდურობით გაარღვევს ბრბოს და როგორც მარმარილოს ქანდაკი სიკვდილის მრისხანებით, ისე ანადგურებდა თვის შეურაცხმყოფელთ. მაგრამ აი, იაზონი შეახებს ტლანქ ხელს, ძირს დასცემს, იფანტებიან ყველანი, ძირს განართხული მედეა როდის—როდის წამოსწევს თავს, როგორც დასეტყვილი თავთავი და გაისმის ერთგვარი საყვედურის ხმა, წმინდა და მელოდიური, მაგრამ მასთან ნაღვლიანი, როგორც მწუხრის ზარის ხმა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც ბავშვებს ეთხოვება, ჰკოცნის და გულში ჩაკრულთ მთრთოლვარე ხელით თითქოს წინდაწინვე უშინჯავდა საგულეს, სადაც ადვილად შეეძლებოდა დაეკრა დანა, რათა შური ეძია მოღალატე იაზონისთვის. ამ დროს მედეა—ჩხეიძე ნამდვილი საბრალო იყო. ბევრს, ძალიან ბევრს დაადგრევინა ცრემლები. მას ოდნავაც არ უსარგებლნია მედეასებური მკვეთრი თვალთა ეფექტით, არა, დედობრივ გრძნობამ გაიმარჯვა, მას წამწმები თითქმის მთლად დაახუჭვინა ტანჯვით, თითქოს ტანჯვა იგი ჰსურს ამოსწუროს და კოცნის წვიმით განწირულ შვილთა გულულებში ჩაასხუროს.

არა ნაკლები ეფექტით ჩაატარა დასაგვირგვინებელი სცენა ბავშვების დახოცვა და გასისხლიანებულ დანით მდევარ იაზონის წინ შეჩერება, დანისა და თითების ათამაშება, თითქოს სამჭრელოს პირიდან უმწეოთა სისხლი წვეთ-წვეთად მოდისო. ეს იყო მომენტი მხატვრულ შემოქმედების ძალთა კონცენტრაციისა, როცა ხელოვნების ანარეკლმა მაყურებელთა გრძნობანი აათამაშა, აცდინა და არ არსებულის უეჭველ სინამდვილეში დაარწმუნა, რასაც ასე რიგად ჰმოწმობდა მათი მოჟუჟუნე ცრემლები...

სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ მსახიობს დანარჩენნი ვერ უწყობდნენ ხელს. არც ერთი მოქმედი პირი ვერ ჰქმნიდა სათანადო ილუზიას. პლასტიკის სკულპტურული ხასიათი, რაც ანტიურ დროის პიესების აუცილებელ ფერადებს წარმოადგენს, არც ერთს მათგანში ვერ ვხედავდით. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ერთად ერთი კორიშელი იყო თავის ადგილას და საკმაო მოხაზულობით გვისურათებდა მოხუც ფილოქტეტს.

დიოგენი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნი არ. ჯ—შვილი „სახალხო ფურცელის“ მე 252 ნომერში გულის წყრომას უცხადებს ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას, რომელსაც „განზრახვა ჰქონია ვამართოს მსჯელობ ბ ნ ს. კაკაბაძის საქციელის გამო“. ასეთი განზრახვა ბ. არ. ჯ—შვილს „ყოვლად შეუწყნარებლად და არა საკადრისად მიაჩნია“ ის მას „კატეგორიულად ჰგმობს“.—„ბ-ნი ს. კაკაბაძე ბოროტ-მოქმედი ხომ არ არის‘‘—უკვირს ბ. არ. ჯ—ს,—მას არაფერი ისეთი არ ჩაუდენია, რომ ესოდენი სასჯელი მივაყენოთ‘‘ და სხვ..

ჩვენ არ ვიცით, რამდენად ბოროტ-მოქმედია კაკაბაძე, „პიროვნების საჯარო საჯიჯგნად გამოტანაც“ ბევრად ვერაფერი სასიამოვნო ამბავია, მაგრამ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ასე-

5 586 / 1915 / 2

თი „ჯიჯგვნა“ პიროვნებისა და მისი სახელის შეურაცხყოფა ჩვენს საზოგადოებას ისე არსად ახსოვს, როგორც იმავე გაზეთის ფურცლებზე, სადაც თვით ბ. ა. ჯ—შვილი თანამშრომლობს. თვით წარსულს კრებაზე მოხდარ უმნიშვნელო ინციდენტის ახალ ამბად გამოქვეყნება სწორედ ამ „ჯიჯგვნის“ სურვილით თუ იყო გამოწვეული, თორემ ასეთი ხმაურობა და აურ-ზაური, რასაც ეხლა ვხედავთ, ხომ სრულებით არ იქნებოდა. მაშასადამე, გმობა და ანათემა ჯერ აქეთკენ უნდა მიემართნა და შემდეგ სხვებისთვის ესწავლებინა ჭკუა. მაგრამ, ვთქვათ, ეს კიდევ საბუთს არ გვაძლევს ქ. კ. მ. ს., რომ შესაფერად თავი ვიმართლოთ. საჭიროა საქმის დაწვრილებით გაცნობა, თვით წყევლის ობიექტის სწორი განხილვა. ვიდრე ჩვენს გულისწყრომას და ისიც „**კატეგორიულ**“ გმობას პათეტიურად გავაშლევინებდით ფრთას. ნეტავ რას იზამდა, ვთქვათ, ესა თუ ის საზოგადოება, დაწესებულება, თუ გნებავთ თვით „სახალხო ფურ.“ რედაქციის კოლეგია თუ მას მოხსენდებოდა, ჩვენი ერთ-ერთი წევრთაგანი აფურთხებს ჩვენს იდეებს, ჩვენს მიმართულებას და არასა ზოგავს ჩვენი წმიდათა-წმიდის გასაქელავად? ყურადღება ასეთის გაფრთხილებისა და მისი ვითარების გამორკვევისა ნუ თუ ვისმეს რაიმე ცოდვად ჩაეთვლებოდა? წარსულ კვირის ინციდენტი ამ ილიუსტრაციის ანალოგიაა: გ. იმნაიშვილმა, როგორც ჩვენი საზოგადოების წევრმა აღძრა საკითხი ს. კაკაბაძის შესახებ და დაახლოვებით შემდეგი ულტიმატუმი დასვა: „ჩვენი საზოგადოება არის ქარ. კ. მოყ. საზოგადოება. თუ ეს საქმით ასეთია და არა მარტო სიტყვით, მაშინ უნდა გვიყვარდეს ჩვენი კულტურა და ვიცოდეთ მისი პატივისცემაც. ცხადია, ჩვენს საზოგადოებაში მოექცევიან მართლა სულით და გულით მოყვარულნი და ჩვენი კულტურის გაფურჩვნის ხელის შემწყობნი. თუ ეს ასეა, მაშ რას ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში წევრად ითვლება ისეთი ადამიანი, რომელიც არა თუ პატივს არა სცემს, პირიქით, ყოველთვის და ყოველგან სცდილობს განზრახ ფაქტების დამახინჯებით მის დაწიხვლას და შეურაცხყოფას? ეს პირი გახლავთ სარგის კაკაიაძე. თუ საბუთი გნებავთ, ბატონებო, მიიღეთ. აქ როდესაც ქართველი ერი და პრესა წმ. ნინოს პატივისსაცემლად და სათაყვანოდ ეროვნულ დღესასწაულის დაარსებას ფიცულობდა, მაშინ ბ. კაკაბაძე ქარ. თეატრის სასცენო კათედრიდან ზედ ნინოობა დღეს წმ. ნინოს სახელს შეურაცხყოფდა, მას ლეგენდარულ მითიურ პიროვნებათ აცხადებდა, ყოველივე შემთხვევაში უფრო ლეკების განმანათლებლად ჰსახავდა, ვიდრე ჩვენისად; ბ) როცა ტერიტორიის საკითხი აღიძრა, როდესაც ჩვენს გარშემო საშინელი იერიშები მოჰქონდათ ამ ნიადაგზე, მაშინ კაკაბაძე ირწმუნებოდა, რომ ჩვენ აქ მხოლოდ მეათე საუკ. გავჩნდითო; შემდეგ გ) მან გააწბილა რუსთაველი, დიდი თამარი... ჩვენი კულტურა არ არის **ჩვენი**,— თუ რამ გვაქვს, ისიც სომხური და სხვა და სხვა. ჩვენი კულტურისა და ისტორიის პატივსაცემლად ასეთს პირს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს საზოგადოებაშიო.

ბ-ნ ჟორდანიას, როგორც საზოგადოების თავმჯდომარეს, არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ჩვენი „საზოგადოების“ წევრის ასეთი ბრალდებისთვის. ნუ თუ სხვა მის ადგილას სხვანაირად მოიქცეოდა? თუ პატივცემული „სახ. ფურც.“ რედაქცია ბ-ნ ი. გედევანიშვილისა, კურსებზე მსმენელ ქალთა პირით და განსაკუთრებით არ. ჯ—შვილის სახელით გამოვიდა კაკაბაძის პიროვნების მართლაც და „საჯიჯგნელად“, ნუთუ იმ საზოგადოებას, რომლის წევრადაც ითვლება კაკაბაძე, უფლება არ ექნება მის შესახებ აღძრულ საკითხს სათანადო პასუხი გასცეს? ვიმეორებთ, ჩვენ არვის ვებრძვი[illegible] ვისმე ვასამართლებთ „მეცნიერული“ რწმ[illegible], არა! ჩვენ, როგორ საზოგადოების მიერ არჩ[illegible] ი საბჭოს წევრნი, ანგარიშს ვუწევთ და მათგან წამოყენებულ ბრალდებას გვერდს ავუხვევთ. ჩვენ შევასრულებთ ჩვენს ზნეობრივსა თუ იურიდიულ მოვალეობას, მოვიწვევთ კრებას, მოვახსენებთ იმნაიშვილის მიერ წამოყენებულ ბრალდებას და რას დადგენს იგი, ეს მისი საქმეა. და თუ ამისთვის ვინმე ანათემას შემოგვითვლის და შეგვაჩვენებს, ჩვენ მაინც დამშვიდებულნი ვიქნებით ჩვენი სინიდისის წინაშე და ოდნავაც არ გავწითლდებით.

ქ. კ. ს. საბჭოს მონდობილობით მდივანი

დ. კასრაძე.

რედაქტორ-გამომცემელი **რ. გაბაშვილი.**

ნება-დართულია სამხედრო ცენზურისაგან. ელ.-მბ. სტ. არ. მ. კერესელიძისა, გაბ. შეს. №1.